კოკი

ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. მე და ჩემი და ნატალი სკოლიდან დაღლილი დავბრუნდით. ძალიან მშიოდა. მალე მუსიკალურშიც უნდა წავსულიყავი. ცოტა არ იყოს მეზარებოდა კიდეც. დაღლილი ვიყავი და სახლში მინდოდა ყოფნა. მოკლედ, საწუწუნოდ მიზეზი არ მელეოდა. ბებიამ, როგორც ყოველთვის, სადილი დაგვახვედრა, თან ჩვეული ტექსტიც მოაყოლა: ,,რომ არ ჭამთ, არც გაიზრდებით. შეხედეთ თქვენი ტოლები როგორ იზრდებიან, თქვენ კი ისევ ბაღის ბავშვებს გავხართ. თანაც ამდენ სწავლაში და სირბილში ენერგია ხომ გინდათ... და ა.შ."

უცებ ეზოდან ხმა შემოგვესმა. ჩვენი ბიძია მოსულიყო, თან ყუთით რაღაც მოეტანა.

-მოდით, აბა, ნახეთ, რა მოგიყვანეთ, - გვითხრა და თან ყუთზე მიგვითითა. ცნობისმოყვარეობამ შეგვიპყრო. ორივენი მივცვივდით ყუთს და გავხსენით. ოი, საოცრებავ! ჩვენი ოცნება ახდა! ყუთიდან თეთრი, ფუმფულა, წითელთვალება კურდღელი იცქირებოდა. თან ორივე ყური დაეცქვიტა. თითქოს მასაც უნდა გაიგოს, აქ რა ხდება. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დაღლაც დაგვავიწყდა, ჭამაც და მუსიკალურიც. - კოკი ჰქვია, მოშინაურებულია. უყვარს ბოსტნეული და ეზოში თამაში. არ დაამწყვდიოთ, შეშინდება. გაუშვით გარეთ, არ გაიქცევა, ზოგჯერ იცის დამალვა, მაგრამ მალევე გამოვა, - პატაკივით ჩამოარაკრაკა კოკის ,,ანკეტა" ბიძიამ.

მას შემდეგ ჩვენი ყოველი დღე იწყება კოკით და მთავრდება კოკით. ,,დღეს ბოსტანში იყო? რა ჭამა? ძაღლთან ახლოს მივიდა? დამეგობრდნენ? დღესაც დაიმალა?". ბებიას უკვე სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ბოსტანი სულ გადაჭამა.

-წაიყვანეთ ეს კოკი სადმე, თორემ არაფერი დატოვა მთელი, - ჯავრობს ბებო. თუმცა როგორც კი კოკი თვალს მოეფარება, ბებო მოსვენებას კარგავს.- სად წავიდა? რამემ ხომ არ შეჭამა?

მოკლედ, ჩვენც მივეჩვიეთ კოკის და არც ის გრძნობდა ურიგოდ თავს ჩვენთან.

ერთ დღესაც, სკოლიდან დავბრუნდით თუ არა, კოკის სამყოფელს მივაშურეთ.

-კოკი! კოკი! კოკი! სად წავიდა? ალბათ ისევ დაიმალა - ეძახის ნატალი და თან ეძებს.

-კოკი დღეს მეზობლის ბაღის ორღობესთან დავინახეთ, მე მგონი იქით გადაძვრა და"გაიქცა, - ,,გვახარა" ბიძაშვილმა.

-გაიქცა?! როგორ?! კოკი ხომ ჩვენთან მიჩვეულია? ახლა რა ეშველება? რამემ რომ შეჭამოს?! ზამთარი მოდის, გაიყინება! - აღრიალდა ნატალი. მეც ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ცოტა არ იყოს მეწყინა კიდეც. არ მეგონა, კოკი ჩვენგან თუ წავიდოდა.

-კოკი რამ უნდა შეჭამოს, არ იცი, როგორი სწრაფია? მაგას რომელი ცხოველი დაეწევა. თან იქნებ მეგობარი კურდღლები ნახოს და ოჯახი გაიჩინოს. მასაც ხომ უნდა მისიანებში ყოფნა, - დაგვამშვიდა დედამ.

მართალია, კოკი ჩვენთან აღარ ცხოვრობს, მაგრამ მის სამყოფელს დღეში რამდენჯერმე შევუხედავ ხოლმე. უკვე ჩვევად მექცა. იქნებ დამალულია და ჯერ არ უნდა გამოჩენა. ან იქნებ მართლა თავისიანებთან ერთადაა და თავს კარგად გრძნობს.

სალომე ნაკაშიძე

ფერიის საჯარო სკოლა

მე-5 კლასი

558 18 66 77